PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯ „იბერიის“ მიერ საგანმანათლებლო პროგრამის -„მეხილეობა-მეჩაიეობა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი
თამარ ახალაძე

{თბილისი, 2021}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-კოლეჯი „იბერია"**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი**

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება**

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

2021 წლის 9 თებერვლის MES 6 21 0000081388 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ ,,იბერიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა-მეჩაიეობა“განხორციელების ადგილის ცვლილების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
ბრძანების საფუძველი გახდა სსიპ - კოლეჯ ,,იბერიას" მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 2 მარტს, 15.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, ექთანს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ახალი გარემოს ონლაინ დათვალიერება: კოლეჯის ეზო, შენობის ექსტერიერი, სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები, ექთნის ოთახი, ადმინისტრაციის ოთახები, დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სველი წერტილები და შენობაში განთავსებული სხვა სივრცეები. განხორციელდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის დათვალიერება და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.
დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურადაა ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც დაწესებულება ავტორიზებულია, ექსპერტების მიერ გადამოწმდა მხოლოლოდ ის კომპონენტები, რომლებიც ფართის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**შესაბამისი**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	**შესაბამისი**	

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები ამ ქვესტანდარტებთან მიმართებაში არ გაცემულა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტების შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 03.04.32.234] კოლეჯი განთავსებულია ქ. ქუთასში, ზ. ანჯაფარიძის ქ, N61- ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართზე (8195.00 კვ.მ.) განთავსებულ 8 შენობა-ნაგებობაში, საერთო ფართით 2842.76 კვ.მ.:

შენობა N1 – საერთო ფართით 2059.62 კვ. მ. (სასწავლო აუდიტორიები)

შენობა N2 – საერთო ფართით 304.69 კვ.მ. (სასწავლო სახელოსნოები)

შენობა N3 – საერთო ფართით 203.62 კვ.მ. (სადურგლო სახელოსნო)

შენობა N4 – საერთო ფართით 20 კვ.მ. (გარე სანკვანძი)

შენობა N5 – საერთო ფართით 17. 01 კვ.მ. (საქვაბე)

შენობა N6 – საერთო ფართით 5.76 კვ.მ (საქვაბე)

შენობა N7 – საერთო ფართით 169.91 კვ.მ. (აუზი)

შენობა N8 – საერთო ფართით 62.15 კვ.მ. (დამხმარე)

არსებული ფართი დასტურდება, ასევე შპს „ჯეოსერვაიერის“ მიერ შესრულებული, რვავე შენობის აზომვითი ნახაზებით სართულების მიხედვით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საჯარო რეესტრით წარმოდგენილ ფართთან, ხოლო ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის N003615120 (42 ფურცლად) თანახმად - ქ. ქუთაისში, ზ. ანჯაფარიძის ქ.N61-ში სსიპ კოლეჯი „იბერია“-ს რეაბილიტაციაზე შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულების და ვიზუალური დათვალიერებით შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებულია.

კოლეჯმა წარმოადგინა შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ, რომლის თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები: N102; N110; N121; N210; N223; N224
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები: N103; N201; N203
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები: N101; N111; 119; N120; N202; N210; N214; N302; N303; N304
- ადმინისტრაციული სივრცე: N106; N108; N204; N205; N208; N2013
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის: N211
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის: N109
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის: N122; N225; N226
- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქდებითი საქმიანობისათვის: N220
- სანიტარიული კვანძი /ები, შშმ პირთათვის: N113; N216
- ბიბლიოთეკა. სამკითხველო დარბაზი:N 211
- სივრცე არქივისთვის: N 212

ონლაინ დათვალიერების და ზემოხსენებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ახლად რეაბილიტირებული სსიპ კოლეჯი „იბერია“ უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. კოლეჯს აქვს მოწესრიგებული ეზო, შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები, პანდუსები, ლიფტები. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით, დაფებით, ასევე, თითოეული პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსითა და ნედლეულით, რაც ასევე დასტურდება, კოლეჯის დირექტორის და ფინანსური მენეჯერის ხელმოწერილი, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესრულებული საინვენტარიზაციო აღწერილობით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის შინაგანაწესის (მუხლი 37 - პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები) დადგენილი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის უფლება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობის შესახებ. შესაბამისად შექმნილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დამტკიცებული დირექტორის N43 ბრძანებით), შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები (დირექტორის ბრძანება N23, 24.02.2021), რომლის მიხედვით, კოლეჯში დანერგილი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების სწორი და უსაფრთხო სარგებლობის მიზნით, ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობას და შესაბამისი ინსტრუქციების ხელმისაწვდომობას. პროფესიული სტუდენტებისათვის, ნებისმიერ დროს, ხელმისაწვდომია ასევე ელექტრონული სასწავლო რესურსი, რომელიც განთავსებულია office 365 -ის პლატფორმაზე. პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები კიბერჰიგიენაში. კოლეჯში, ქ. ქუთაისის მერიის და ახალგაზრდული სააგენტოს ინიციატივით და ხელშეწყობით, გამოყოფილია „ახალგაზრდული სივრცე“ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელშიც განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, ჭკვიანი და მაგნიტური დაფა, პროექტორი, კომბაინი, მხატვრული ლიტერატურა, სათამაშო მოწყობილობები. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი. მატერიალური რესურსის გამოყენება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის №221 ბრძანებით (დანართები: 1-5) დამტკიცებული „სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების და ხარჯვის წესით“.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 24.02.2021, N22 ბძანებით შემუშავებულ - სსიპ კოლეჯ „იბერიას“ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესით რეგულირდება დაწესებულების ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასუფთავები წესი და პერიოდულობა. წესის თანახმად ამ პროცესზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კოლეჯის დამლაგებლებსა და მეეზოვეზე, ხოლო მათზე კონტროლი ამავე წესის თანახმად დავალებული აქვს მატერიალური რესურსების მენეჯერს.
ონლაინ დათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

ონლაინ დათვალიერების, გადახდის ქვითრების გაცნობის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის N238 ბრძანებით შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოლეჯი „იბერიას“ პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, რომლის თანახმად კოლეჯი ორიენტირებულია შრომის უსაფრთხოების კულტურის ფორმირებაზე და მის მუდმივ განვითარებაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა თითოეულმა თანამშრომელმა და პროფესიულმა სტუდენტმა იზრუნოს, როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირების უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვაზე. შემუშავებულია ასევე შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის, რომელიც ადგენს შრომის დაცვის ძირითად მოთხოვნებს, დასაქმებულთა ძირითად ვალდებულებებსა და აკრძალვებს.
კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია და შესაბამისად დაწესებულებას ჰყავს შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი (მისი კვალიფიკია დგინდება შესაბამისი სერტიფიკატით), რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ჩართულობით შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N19, 24.02.2021 დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები კოლეჯში არსებული პროგრამებისთვის: ფაბლაბში მუშაობისას; ფილამწყობისთვის; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტისთვის; მეხილეობა-მეჩაიეობისთვის; კონსულტანტ-გამყიდველისთვის; კომპიუტერული ქსელებისა და სისტემებისათვის; ინფორმაციის ტექნოლოგიის სწავლებისათვის; თმის სტილისტისათვის; ელექტროობის სწავლებისთვის; ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები მოიცავს ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც დაწესებულება არსებული მდგომარეობით ახორციელებს და ისინი გაკრულია შესაბამის სასწავლო სივრცეებში.
პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებული პირები იცნობენ შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტებს და იგეგმება პერიოდულად მათთვის ინსტრუქტაჟების ჩატარება.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

როგორც ონლაინ დათვალიერებით დასტურდება, კოლეჯის შენობის ორივე სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები (2-2 კაბინა ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის). ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ასევე პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

შენობა ახლად რეაბილიტირებულია და შესაბამისად კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

სსიპ კოლეჯ „იბერიის“ სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. კოლეჯის შენობის ორივე სრთულზე განთავსებული A, B და C სასწავლო აუდიტორიები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ყველა ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია სამასწავლებლოში.

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კოლეჯის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. სსიპ კოლეჯ იბერიის დირექტორის 2019 წლის 25 აგვისტოს №43 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესები, მომხმარებელის უფლებამოვალეობები, წიგნების გატანის წესი, კომპიუტერით სარგებლობის წესები და სხვ. ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულებაც. კოლეჯში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია მომხმარებელთათვის დაწესებულების როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად აღრიცხულია საბიბლიოთეკო ფონდი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შექმნილია ელექტრონული კატალოგი და არსებული ფონდი სისტემატიზირებულია. სამუშაო დროს სტუდენტებსა და მასწავლებლებს დაუბრკოლებლად მიუწვდებათ ხელი ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებსა და ელექტრომატარებლებზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 6 მაგიდა სტუდენტებისათვის, ასევე ქსელში ჩართულია 2 კომპიუტერი და სტუდენტების საჭიროებებისთვის განკუთვნილია 2 კომბაინი..

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- უძრავი ქონების საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ამონაწერი რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- კოლეჯის დირექტორის, 2019 წლის 25 აგვისტოს №43 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი N10 (02.თებერვალი 2021 წ.);
- ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N003615120 (42 ფურცლად);
- კოლეჯის დირექტორის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N 137 ბძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები ყველა არსებული პროგრამისთვის;
- 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესრულებული საინვენტარიზაციო აღწერილობა;
- კოლეჯის დირექტორის №221 ბრძანებით (დანართები: 1-5) დამტკიცებული „სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების და ხარჯვის წესი“.
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯ „იბერიაში“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს.

შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში ჩატარებულია შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება.

წარმოდგენილი აქტის თანახმად:

- „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370-ე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „იბერია“-ს თანამშრომლებისათვის ჩატარებულია სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ინსტრუქტაჟის გზით.
- ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, შენობა დაკომპლექტებულია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით-ცეცხლმაქრებით, ზღვრული დასაცავი ფართობის და ცეცხლმაქრის ტიპის გათვალისწინებით. ცეცხლმაქრები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე იატაკიდან არა უმეტეს 1,5 მეტრის სიმაღლეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯ „იბერიას“-ს საევაკუაციო გასასვლელი აკმაყოფილებს ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებს.
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“-ს შენობის ელექტრო მოწყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს ელექტროდანადგარების მოწყობის წესებს.
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“-ს შენობა კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემა არ ესაჭიროება.
- სსიპ კო;ეჯ „იბერიის“ შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც შეესაბამება სახაბძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“-ს შენობაში დამონტაჟებული ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, ასევე შენობის საევაკუაციო გზაზე მოწყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები და ავარიული განათება.
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“-ს შენობა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“-ს შენობა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.
- ობიექტს არ ესაჭიროება შიდ და გარე სახანძრო წყალმომარაგების სისტემა.

დასკვნის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის 24 თებერვლის 2021 წლის N20 ბრძანებით დამტკიცებულია ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი, შრომის უსაფრთხოების რისკების და საფრთხეების შეფასების ჟურნალი, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჟურნალი, აღრიცხვის ჟურნალი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღსარიცხად. კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მედდა, გამოყოფილია კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით თუ რესურსით, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური პირველადი დახმარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღმოჩენას. მედდასთან გაფორმებულია უვადო ხელშეკრულება. დაწესებულებას გახსნილი აქვს ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი, რომელსაც აწარმოებს მედდა.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები რომელიც შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, ‘საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების, „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მეთოდების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტში გაწერილია ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს. წესის თანახმად განსაზღვრულია, რომ კოლეჯის ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესებს და მის გაცნობას აფიქსირებდეს ხელმოწერით. საგანგებო კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის უფროსი, საევაკუაციო ჯგუფის უფროსი, შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი, მედდა და სახანძრო ჯგუფის უფროსი. კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ხორციელდება კოლეჯის საზოგადოებისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯი აღჭურვილია საჭირო რაოდენობის ცეცხლმაქრებით, საევაკუაციო სქემებით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის შინაგანაწესი, რომლის გაცნობის ვალდებულება აქვს როგორც კოლეჯში დასაქმებულ ყველა პირს, ასევე ყველა პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯის საკუთრებაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან. კოლეჯის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერები, წარმოდგენილი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ კოლეჯის ახალ სივრცეში დაცული იქნება წესრიგის დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. კამერების ჩანაწერები კონტროლდება შენობის პირველ სართულზე განთავსებული მონიტორზე და მასზე 24 საათის განმავლობაში პასუხისმგებელი პირია დარაჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- კოლეჯის დირექტორის 11.02.2021 წლის წერილი შს სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირის სამუშაო აღწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
- გასაუბრების შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

სსიპ კოლეჯ იბერიაში IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; კოლეჯის შენობა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა მიმართულია დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვისკენ. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისი და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობისა. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დადასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- ონლაინ გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომლის განხორციელებაც გადადის ახალ ფართზე

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა-მეჩაიეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №43, 17.02.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ, N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**შეესაბამება**			
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**შეესაბამება**			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დისტანციური საქმის წარმოებისას, დაწესებულების ფართის ცვლილების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობა- მეჩაიეობის“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (15 პროფ. სტუდენტი) გათვალისწინებით. ონლაინ ჩართვის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მხოლოდ A და B

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აქ განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო ყველა ინვენტარი (მაგიდები, სკამები, 15+1 კომპიუტერი).

ამ პროგრამისათვის გათვალისწინებული C გარემო, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯს არ გააჩნია, რადგან პროგრამა დუალური მიდგომით ხორციელდება და პრაქტიკული კომპონენტი მთლიანად გადატანილია პარტნიორი კომპანიების ბაზაზე. ეს კომპანიებია: ფონდ ,,აფხაზინტერკონტთან'' არსებული სოციალური საწარმო,,აგამა", შპს ,,თ-სულორი'', შპს ,,ანდიტრი'', შპს ,,კარტლის აგროსისტემები". რამდენადაც დაწესებულების მიერ ფართის ცვლილების კონტექსტში არ განხორციელებულა პარტნიორი კომპანიების ცვლილება და არ შეცვლილა ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, ამ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ გახდა საჭირო ექსპერტების მიერ პარტნიორი კომპანიებთან დისტანციურად ჩართვა და მათთან გასაუბრება. დაწესებულებამ პროგრამის დანართის სახით წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის სრული ჩამონათვალი და იმ აღჭურვილობის ფოტომასალა, რომელიც წინა ადმინისტაციული წარმოების პერიოდში ჯერ კიდევ შესყიდვის პროცესში იყო.
როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას აღნიშნა, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფეხებლად როგორც კოლეჯში ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე და ადგილმდებარეობის ცვლილებას სასწავლო პროცესზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ დისტანციურად ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N60 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას.

სასწავლო დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების წესი“;
- ბრძანება №19, 28.01.2020, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ბრძანება №60, 26.02.2019 „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“;
- ბრძანება №343, 25.09.2019 „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- ბრძანება №299 „შინაგანაწესი“;
- ონლაინ ჩართვის შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ონლაი ჩართვით განხორციელებული გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ, „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულებში გათვალისწინებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სწავლების სარეკომენდაციო თანამედროვე მეთოდები, ხოლო დარგის შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენება განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები და აქტიურად იყენებენ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს. დისტანციური გასაუბრების დროს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, ისინი უზრუნველყოფენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას , განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
„მეხილეობა-მეჩაიეობა“ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ჩართულობით შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N19, 24.02.2021 დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ონლაინ გასაუბრების შედეგები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N19, 24.02.2021 დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეხილეობა და მეჩაიეობა“

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი:
დისტანციური ადმინისტრაციული წარმოებების გასაუბრების განრიგი
21.03.2021
გვერდების რაოდენობა: 26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: